



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 179

2011 წლის 21 დეკემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებრივი საჭიროებისათვის
ფლემ-მეხსიერების (USB ფლემ დისკი) გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 7 დეკემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110031180) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ფლემ-მეხსიერების (USB ფლემ დისკი) შესყიდვაზე, რომელსაც 14 დეკემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. ფლემ-მეხსიერების (USB ფლემ დისკი) შესყიდვა სამსახურებრივ აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ფლემ-მეხსიერების (USB ფლემ დისკი) გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

